

მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის დაბეგვრა 11107

ფაქტობრივი გარემოებები	შეფასება	ლონისძიებები
<p>შპს „A“-მ დადო ხელშეკრულება შპს „B“-სთან 10 ცალი კარადის მიწოდების თაობაზე, თითო 50 ლარის ღირებულების (დღგ-ის ჩათვლით), სულ მისაწოდებელი საქონლის ღირებულება განისაზღვრა 500 ლარით (დღგ-ის ჩათვლით). ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ შპს „B“ საქონლის მიწოდებამდე გადაიხდიდა მისაწოდებელი საქონლის მთლიანი ღირებულების 70%-ს, ხოლო დარჩენილ 30%-ს გადაიხდიდა კარადების მთლიანად მიწოდების შემდგომ.</p> <p>ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „B“-მ 350 ლარი (70%) გადაუხადა შპს „A“-ს 2017 წლის 20 იანვარს, რაც შპს „A“-მ დაბეგრა დღგ-ით. 2017 წლის 10 თებერვალს შპს „A“-მ მიაწოდა 5 ცალი კარადა, რომლის ღირებულება შეადგენდა 250 ლარს (დღგ-ს ჩათვლით).</p> <p>შპს „A“-ს მიწოდებული 5 ცალი კარადის ღირებულება დამატებით დღგ-ით არ დაუბეგრავს.</p>	<p>სსკ-ის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი, მაგრამ არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, გარდა ამ ნაწილის „ა.ბ.ბ“ და „ა.ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.</p>	<p>გადასახადის გადამხდელის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.</p>
<p>შპს „A“-მ დარჩენილი 5 ცალი კარადა შპს „B“-ს მიაწოდა 17 მარტს. შპს „B“-მ დარჩენილი თანხა 150 ლარი შპს „A“-ს გადაუხადა საქონლის მიწოდების დღეს - 17 მარტს. გადახდილი თანხა 150 ლარი შპს „A“-მ დღგ-ით დაბეგრა მარტის თვეში.</p>	<p>იმის გათვალისწინებით, რომ შპს B-ს მიერ 2017 წლის 20 იანვარს გადახდილი თანხა (350 ლარი) აღემატებოდა შპს A-ს მიერ იმავე წლის 10 თებერვალს მიწოდებული საქონლის (5 კარადის) ღირებულებას, გადასახადის გადამხდელის ქმედება მართლზომიერია.</p>	

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2017 წლის 14 ნოემბრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით

➤ სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, გარდა ფაქტობრივ გარემოებებში მითითებულისა

ანოტაცია
„მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის დაბეგვრა“ №11107
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის დღგ-ით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „A“-მ დადო ხელშეკრულება შპს „B“-სთან 10 ცალი კარადის მიწოდების თაობაზე, თითო 50 ლარის ღირებულების (დღგ-ის ჩათვალთ), სულ მისაწოდებელი საქონლის ღირებულება განისაზღვრა 500 ლარით (დღგ-ის ჩათვლით). ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ შპს „B“ საქონლის მიწოდებამდე გადაიხდიდა მისაწოდებელი საქონლის მთლიანი ღირებულების 70%-ს, ხოლო დარჩენილ 30%-ს გადაიხდიდა კარადების მთლიანად მიწოდების შემდგომ. ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „B“-მ 350 ლარი (70%) გადაუხადა შპს „A“-ს 2017 წლის 20 იანვარს, რაც შპს „A“-მ დაბეგრა დღგ-ით. 2017 წლის 10 თებერვალს შპს „A“-მ მიაწოდა 5 ცალი კარადა, რომლის ღირებულება შეადგენდა 250 ლარს (დღგ-ს ჩათვლით). შპს „A“-ს მიწოდებული 5 ცალი კარადის ღირებულება დამატებით დღგ-ით არ დაუბეგრავს. შპს „A“-მ დარჩენილი 5 ცალი კარადა შპს „B“-ს მიაწოდა 17 მარტს. შპს „B“-მ დარჩენილი თანხა 150 ლარი შპს „A“-ს გადაუხადა საქონლის მიწოდების დღეს - 17 მარტს. გადახდილი თანხა 150 ლარი შპს „A“-მ დღგ-ით დაბეგრა მარტის თვეში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი, მაგრამ არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, გარდა ამ ნაწილის „ა.ბ.ბ“ და „ა.ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;“.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს B-ს მიერ 2017 წლის 20 იანვარს გადახდილი თანხა (350 ლარი) აღემატებოდა შპს A-ს მიერ იმავე წლის 10 თებერვალს მიწოდებული საქონლის (5 კარადის) ღირებულებას, გადასახადის გადამხდელის ქმედება მართლზომიერია. გადასახადის გადამხდელის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.